## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება
## № 245

ქ. თბილისი 20 სექტემბერი 2016 წელი

ერთი მხრივ, სსიპ-ღვინის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – „შემსყიდველი") თავმჯდომარის მოადგილის პაატა ჭავჭანიძის სახით და მეორე მხრივ, ა(ა)იპ „ქართული ღვინო" (შემდგომში – „მიმწოდებელი") წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის თინათინ კეზელის (პ/ნ: 01015001804) სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის (SMP150001117), „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებისა და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის № 53 განკარგულების თანახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაციით;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისათვის;

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5 „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;

1.6 „მომსახურება" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

### 2. ხელშეკრულების საგანი

სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით (ქვეპროგრამა: ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები) ქ. თელავში ქართული ღვინის კვირეულის ფარგლებში გასამართი ღონისძიებების ორგანიზების მომსახურების შესყიდვა ამ ხელშეკრულებისა და დანართი №1-ის შესაბამისად (კლასიფიკატორის CPV-79952000 კოდი) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. დანართი №1 თან ახლავს ხელშეკრულებას და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

### 3. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

3.1 მომსახურების გაწევის ვადები: ქ. თელავი 2016 წლის 22 სექტემბერი.

3.2 მომსახურების გაწევის ადგილი: საქართველო, ქ. თელავი.

### 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 87 001,40 (ოთხმოცდაშვიდიათას ერთი ლარი და 40 თეთრი) ლარს.

4.2 ცალკეული მომსახურების ფასები მოცემულია დანართი №1-ში.

4.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

### 5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ამ ხელშეკრულებისა და დანართი №1-ის შესაბამისად უზრუნველყოს ქ. თელავსა და ქ. მარნეულში ქართული ღვინის კვირეულის ფარგლებში გასამართი ღონისძიებების ორგანიზება და მათი ტექნიკური აღჭურვა;

ბ) მიმდინარე წლის 22 სექტემბერს ქ. თელავში ქართული ღვინის კვირეულის გახსნის ცერემონიალის და შესაბამისი ღონისძიების ფარგლებში უზრუნველყოს:

1. ღონისძიების დეკორატიული გაფორმება და ყველა საჭირო ტექნიკითა და ინვენტარით უზრუნველყოფა;

2. ღონისძიების ფარგლებში უზრუნველყოს ქართული ღვინის კომპანიების წარმოდგენისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა.
3. ქართული ღვინის გამოფენა- პრეზენტაცია და დეგუსტაცია, ქართული ყველისა და ტკბილეულის თანხლებით.
4. ღონისძიების მუსიკალური გაფორმება ქართული ფოლკლორული ანსამბლის თანხლებით;
5. ადგილობრივი მცირე მარნების მონაწილეობის ორგანიზება;

გ) შეათანხმოს ,,შემსყიდველთან" ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დეტალები მომსახურების განხორციელების ყველა ეტაპზე;

დ) მომსახურების გაწევის დასრულებიდან არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში უზრუნველყოს განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის შემსყიდველისათვის წარდგენა;

ე) უზრუნველყოს გამოფენაზე წარსადგენი ქართული ღვინის ნიმუშების საგამოფენო სივრცეში დასაწყობოება და განთავსება;

ვ) ,,შემსყიდველის" მოთხოვნის შესაბამისად მიაწოდოს მას ინფორმაცია მომსახურების განხორციელების შესახებ;

ზ) დროულად განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

თ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დროულად განიხილოს ,,მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი წინადადებები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

ბ) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად უზრუნველყოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება;

გ) დროულად მიაწოდოს მიმწოდებელს შესაბამისი ინფორმაცია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობის მიზნით:

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.3 შემსყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ნაკისრი ვალდებულებების დროული, ხარისხიანი და ჯეროვანი შესრულება;

5.4 მიმწოდებელს უფლება აქვს მოითხოვოს შემსყიდველისგან ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

## 6. ხარისხი

გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშერკულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და გამოფენის ფარგლებში დადგენილ სტანდარტებს.

## 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველი უფლება აქვს, მომსახურების გაწევის ნებისმიერ ეტაპზე, განახორციელოს ამ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი. ასეთ შემთხვევაში, კონტროლს განახორციელებს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომლები.

7.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენლის (წარმომადგენლები, საჭიროების შემთხვევაში ასევე მოწვეული ექსპერტი) მიერ არასათანადო მომსახურების აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი. იმ შემთხვევაში თუ არასათანადო მომსახურების (წუნის) გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს დაუბრუნოს აღნიშნული არასათანადო (წუნდებული) მომსახურების ღირებულება;

7.3 ამ მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებული არასათანადო მომსახურების გამოსწორება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე.

## 8. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

8.1 მომსახურების მიღება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

8.2 მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის საფუძველზე, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად და დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

## 9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების

ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9.3 ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს წინასწარ;

ა) წინასწარ ანგარიშწორება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე მისი წარმოდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

ბ) მიმწოდებლის მიერ წერილობით მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტში მითითებული საერთო სახელშეკრულებო ღირებულების 50 %.

9.4 თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხროციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9.3 თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხროციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

## 10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ მხარეებს წარმოეშობათ რაიმე ხელშემშლელი გარემოება, რაც აფერხებს ხელშეკრულების პირობების შესრულებას, მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შემაფერხებელი ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ გონივრულ (უმოკლეს) ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

## 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადების გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გასაწევი მომსახურების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

11.2 ხელშეკრულების 7.3 პუნქტით განსაზღვრული ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე არასათანადო (წუნდებული) მომსახურების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

11.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 % (ათ პროცენტს), შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიმწოდებელისგან ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან ან ვალდებულების შეუსრულებლობის/არაჯეროვანი შესრულების გამო წარმოშობილი პასუხისმგებლობისგან, მათ შორის შემსყიდველისთვის წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებისგან.

## 12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით და დასტურდება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12.2 თუ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შესაბამისი ინფორმაციის თაობაზე შეატყობინოს მეორე მხარეს.

## 13. დავების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება მოლაპარაკების გზით.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.3. წინამდებარე მუხლის 13.1. პუნქტით გათვალისწინებული მოლაპარაკების პროცესი იწყება ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ მეორე მხარისთვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით.

## 14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

## 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2016 წლის 20 სექტემბრიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 16. ფორს-მაჟორი

16.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, პირველივე შესაძლებლობისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს ასეთი გარემოების დადგომიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

## 17. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი – შემსყიდველს.

## 18. მხარეთა რეკვიზიტები:

<u>შემსყიდველი</u>

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო

თავმჯდომარის მოადგილე

პაატა ჭავჭანიძე

ს/კ 204446965
**იურიდ. მის.:** ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6
**ფაქტ. მის.:** ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის №6.
**საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, კოდი
**ბ.კ.** TRESGE22; **ა/ა** 200122900
**ტელ.:** 297 41 03

პაატა ჭავჭანიძე

<u>მიმწოდებელი</u>

**ა(ა)იპ „ქართული ღვინო"**

აღმასრულებელი დირექტორი

თინათინ კეზელი

ს/კ 400004277
**იურიდ. მის.:** ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზ. №2.
**საბანკო რეკვიზიტები:** სს „თი ბი სი ბანკი"
**ბანკის კოდი:** TBCBGE22
**ანგარიშის №** GE62TB7055136080100006

თინათინ კეზელი

დანართი № 1

| | თელავი, 22 სექტემბერი, 12:00 - 18:00 საათი | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | სეგმენტი | აღწერილობა | რაოდ. | ღირებ. | ჯამი |
| 1 | იმპროვიზებული საშემოდგომო ბაზრის ტერიტორიის მოწყობა დეკორატიული და ფლორისტული გაფორმება | ფლორისტული ხარჯი, დეკორატიული ხარჯი (ხილი, ბოსტნეული), დეკორაციების იჯარა, დამხმარე პერსონალის ხარჯი, ტრანსპორტირების ხარჯი, სასტუმროს ხარჯი, პერსონალის კვების ხარჯი, დამხმარე ფლორისტული მასალების ხარჯი | 1 | 20,000 | **20,000** |
| 2 | ტექნიკური უზრუნველყოფა | სცენა 4,90მ / 2,44მ / 0.60მ, კიბით, სპიკერის გახმოვანება, ტერიტორიის ფონური გახმოვანება მუსიკალური ნომრებისთვის | 1 | 3,850 | **3,850** |
| 3 | ტექნიკური უზრუნველყოფა | 5 „პაგოდა" კარვის აწყობა / დაშლა, ღონისძიების ინჟინრები, 15 მაგიდა გადასაფარებლით კომპანიებისთვის, ხის კასრები, ტრანსპორტირება | 5 | 1,700 | **8,500** |
| 4 | ღვინის დაგემოვნება | ღვინისთვის ერთჯერადი ჭიქები, მოწნულ კალათებზე შოთის პური, ყველი, ნიგოზი, მშრალი ხილი 12:00 - 18:00 საათამდე, სულ 2000 კაცისთვის | **2,000** | 1 | **2,000** |
| 5 | პრესბანერი | სცენის უკანა ბანერის ბეჭდვა და რკინის კონსტრუქცია 2,30მ / 4მ | 1 | 500 | 500 |
| 6 | პრომო | ბრენდირებული მაისურები | **500** | 15 | **7,500** |
| 7 | პრომო | ბრენდირებული ვიმპელები (100 მეტრი) | **100** | 13 | **1,300** |
| 8 | დიზაინი | მაწვნის სახლის დეკორი | 1 | 2,500 | **2,500** |
| 9 | თეატრალური გაფორმება | პანტომიმის თეატრი „ვაზის დაბადება" | 1 | 2,500 | **2,500** |
| 10 | მუსიკალური გაფორმება | ფოლკლორული ანსამბლი | 1 | 2,000 | **2,000** |
| 11 | ტექნიკური უზრუნველყოფა | მოლბერტები | **20** | 30 | **600** |
| 12 | ღონისძიების ვიზუალი | ფოტოები მოლბერტებისთვის (ბეჭდვა პევეხაზე) | **20** | 89 | **1,780** |
| 13 | ტრანსპორტირების ხარჯი | პერსონალის ტრანსპორტირება | 4 | 200 | 800 |
| | | ინვენტარის ტრანსპორტირება | 4 | 350 | **1,400** |
| 14 | გაუთვალისწინებელი ხარჯი | | 1 | 3,500 | **3,500** |
| 15 | ღონისძიების მენეჯმენტი | დაგეგმვის, იმპლემენტაციის და დახურვის ფაზები | 1 | 15,000 | **15,000** |
| | | | | სულ | **73,730.00** |
| | | | | დღგ 18 % | 13271,40 |
| | | | | სულ დღგ-ს ჩათვლით | 87,001.40 |

„შემსყიდველი"

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო

თავმჯდომარის მოადგილე

პაატა ჭავჭანიძე

„მიმწოდებელი"

ა(ა)იპ „ქართული ღვინო"

აღმასრულებელი დირექტორი

თინათინ კეზელი